წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | ხუთშაბათი, 22 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ. ... სხვა ადგილებიდან ... ბულ განცხ დებათ ... ტი ტექსტის წინ 30 კაპ., ... 20 კ. ... გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 514 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 514

## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ., **ცალკე ნომერი 7 კ.**

თვიური ეხლის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან.
წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისთანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო".

რედაქტორი—**ი. თ ცინცაძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო".**

# 1916 წლის
# მეორე სამხედრო
# სესხი

როდესაც მტერი ჯერ კიდევ განდევნილი არ არის ჩვენი მიწა-წყლიდან და ჩვენი ძმები კი ჩვენი გულისათვის მსხვერპლად სწირავენ თავიანთ სიცოცხლეს, დანაშაულობაა, რომ ფუფუნებისათვის გავფლანგოთ ჩვენი დანაზოგი. დაე, ყველი თავისუფალი მანეთი შეიწიროს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ, გმირ დამცველთა დასახმარებლად.

## ხელი მოაწერეთ სამხედრო სესხს.

### სესხის პირობები:

სესხის ობლიგაციები გამოცემულია 50, 100, 500, 5000, 10,000 და 25,000 მანეთიანი და 1916 წლის 1 ოქტომბრიდან მოიგებს $5^1/_2\%$ წლიურად, რომელიც ორ ვადაზე გადაიხდება—1 აპრილსა და 1 ოქტომბერს.

პროცენტების თანხა სამუდამოდ თავისუფლდება იმ გადასახადებისაგან, რომელიც კაპიტალის შემოსავალზეა დაწესებული.

ყველა ობლიგაცია გამოისყიდება 1926 წლის 1 ოქტომბერს. ამ დრომდე სესხის განაღდებას არ შეუდგებიან.

დროებით კუპონების და გამოსყიდულ ობლიგაციების განაღდება მოჰხდება სახელმწიფო ბანკსა, ხაზინებსა და შემნახველ კასებში.

ობლიგაციები სესხისა მიიღება სახაზინო „პოდრიადების" და სამუშაოების საწინდრად, აგრეთვე სააქციზო და საბაჟო განაწილებულ გადასახადად იმ ფასად, რომელსაც ფინანს. მინისტრი დააწესებს.

### დრო და ადგილი ხელის მოწერისა.

ხელის მოწერა იწყება 1 ნოემბერს.

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში,<br>კერძო საკომერციო ბანკებში,<br>სახინებში (მუდმივში),<br>ქალაქის საზოგადო ბანკებში,<br>საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებში,<br>ქალაქის და იმ საერობო თვითმართველობა-გამგეობაში ან კანტორებში,<br>რომელთა შესახებ ადგილობრივ იქნება გამოცხადებული. | ამა წლის<br>30 დეკემბრამდე. |
| სახელმწიფო შემნახველ კასებში,<br>წვრილი კრედიტის დაწესებულებებში,<br>საველე ხაზინებში. | 1917 წლის<br>31 იანვრამდე. |

### ხელის მოწერის წესი.

ობლიგაციის ფასია 95% ნომინალურ ღირებულებისა, რომელსაც მიმდინარე პროცენტები მიემატება, 1916 წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებული.

ვისაც ჰსურს გადაიხადოს ფასი მთელი იმ ობლიგაციებისა, რომელზედაც ხელი მოაწერა, ფულს გადაიხდის ხელის მოწერის დღესვე.

იმ პირებს, რომელნიც სესხზე ხელს მოაწერენ სახელმწიფო ბანკში, კერძო საკომერციო და ქალაქის საზოგადო ბანკებში 500 მანეთზე მეტს, ხოლო ხაზინებში, შემნახველ კასებში, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებასა და წვრილ საკრედიტო საზოგადოებაში 200 მანეთზე მეტს—ამ პირებს შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ: ნახევარი ხელის მოწერის დღესა და ნახევარიც არა უგვიანეს 1917 წლის 31 იანვრისა.

### შეღავათები ხელის მომწერლებისთვის და სესხის გაცემა.

სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში, აგრეთვე ხაზინებში, სადაც სწარმოებს სესხის დაგირავება, შეიძლება გაეხსნათ შეღავათიანი კრედიტი 1918 წლის 1 იანვრამდე იმ სახელმწიფო სესხის ობლიგაციების დასაგირავებლად, რომელნიც გამოცემულია ომის დასაწყისიდან აქამდე. ოღონდ ეს კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ხელის მოწერის ჯამს.

ობლიგაციების დაგირავება შეიძლება როგორც ხელის მოწერის დღეს, ისე შემდეგაც სახელმწიფო ბანკებსა და ხაზინებში, სადაც სესხის ოპერაცია სწარმოებს $5^1/_2\%$ წლიურად 1918 წლის 1 იანვრამდე. სესხის რაოდენობა ხელის მოწერის დროს დაწესებულია 88% ნომინალურ ფასისა.

### შეღავათები ობლიგაციების შენახვისათვის.

ობლიგაციების პატრონებს შეუძლიანთ გადასცენ ის უფასოდ შესანახად სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს, ხაზინებს და შემნახველ კასებს, ოღონდ დაწესებული საგერბო გადასახადი უნდა გადაიხადონ. ის პირები, რომელთაც შემნახველ კასებში ფული აქვთ, ამ კასებში ობლიგაციების შეძენის დროს არ იხდიან საგერბო გადასახადს, თუ მათ ფასს შესანახ წიგნაკში გადიწერენ.

პარასკევს, 23 დეკემბერს
ქალაქის თეატრში
შესდგება
# გალაკტიონ ტაბიძის
# ს ა ღ ა მ ო.
ბილეთები იყიდება.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 16 დეკემბრიდან ახალი პროგრამა.
ნაჩვენები იქნება უმაღლესი ნებართვით ცნობილ პოლკისუფროს ესაძეს მიერ გადაღებული კავკასიის მამაცი არმიის
გასაოცარი გმირობანი — ეს სურათი ბრძოლის ველზეა გადაღებული, ზარბაზნებისა და თოფის სროლის დროს.
ეს სურათი კავკასიის ჯარის მამაცობის მთლიან სურათს იძლევა.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 19 დეკემბრიდან საუცხოვო მხატვრული დრამა.
ცოდვა — თანამედროვე დრამა 5 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.


# განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მცხოვრებლებზე **შაქრის** გასაყიდათ მან შემოიღო ეგრეთ წოდებული

## „ბარათების სისტემა“

ამისათვის ის იწვევს **ოჯახის უფროსებს**, რომელთაც სურთ ბარათების მიღება, გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის სადგომში და განუცხადონ თავისი ოჯახის მდგომარეობა (რამდენი სულია ოჯახში) ბარათების შემდგენელთ. უკანასკნელნი, ბარათებში საჭირო ცნობების აღნიშვნის შემდეგ, გადასცემენ მათ ოჯახის უფროსებს, რომელთაც უნდა გადიხადონ ორ-ორი შაური.

ქუთაისში არსებულ **დაწესებულებათა უფროსებმა** ქალაქის გამგეობიდან უნდა წაიღონ ბარათები, შეავსონ საჭირო ცნობებით და დაურიგონ მოსამსახურეებს; ქალაქის გამგეობას კი უნდა დაუბრუნონ ბარათების ნაკიდური („კორეშოკი“) და თითო ბარათის ფასი ორ-ორი შაური.

ბარათების შედგენა მოხდება: **კვირას**, 18 დეკემბერს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე; ხოლო **სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს**—საღამოს 4 საათიდან 8-მდი. იმ შემთხვევაში, თუ ამ ოთხ დღეში ვერ მოესწრო ბარათების შედგენა მუშაობა შემდეგს დღეებშიაც გაგრძელდება.

**ამასთან ქალაქის გამგეობა აფრთხილებს მცხოვრებლებს, რომ ის პირნი, რომელნიც ყალბ ცნობებს მიაწვდიან ბარათების შემდგენელთ თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ან ერთ ბარათზე მეტს მიიღებენ, სრულიად დაკარგავენ ბარათებს და თან სასტიკად დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით.**

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი** გალიციაში რამდენიმე ალაგას გაძლიერებული საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ზოგან გერმანელებს და ავსტრიელებს იერიშები მოჰქონდათ.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი** სომმაზე ფრანგები მ..ნედ მოქმედებენ.

**რუმინიის ასპარეზი.** მოლდავიის მთელ ბრძოლის ხაზზე გერმანელ-ბულგარელები შემოტევას განაგრძობენ. რუმინელები წინანდებურად უკან იხევენ.

# მსოფლიო ომი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

20 დეკემბერს

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. პლებშიცი კნუბოვოს მიდამოებში, ნაშუადღევის 3 საათზე 18 დეკემბერს მოპირდაპირემ მედგრად დაგვიშინა ზარბაზნები და საღამოს 6 საათზე ორი ქვეითა როტით იერიშით წამოვიდა ჩვენს მოწინავე სადარაჯოებზე. იერიში მარჯვედ მოვიგერიეთ თოფებისა და ზარბაზნების სროლით, მესამე იერიშით კი მტერმა შესძლო ჩვენი თხრილების აღება, თუმცა სამაგიეროთ იერიშით კვლავ გავდევნეთ. ამ მიდამოე..ის ცოტა სამხრეთით მოპირდაპირემ სცადა შემოტევა, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ბროდის სამხრეთ დასავლეთით მოპირდაპირე ზარბაზნებს უშენდა პონიკოველსა და დუბეს მიდამოებს, პირველს ყუმბარა ესროლა, მოშხამული გაზით გატენილი.

მოლდავიის მიჯნასთან მტერი რამდენ-

სამხრეთით მდებარე მაღლობებზე (ბეკაში ბისტრიცას ერთვის), მაგრამ სროლით ვიგერიებდით, მდ. დომუკის მიდამოებში მოპირდაპირემ შემოგვიტია მდ. დომუკის პატარა შესართავ ნაკადის ჩრდილოეთით სოფ. დომუკპატაკთან. ერთ-ერთი მაღლობიდან მტერმა მოახერხა ჩვენი დარაჯების გამოდევნა, თუმცა მარქაფა ჯარის დახმარებით კვლავ აღვადგინეთ ჩვენი მდგომარეობა

მდ. ტოტროშას ველში მოპირდაპირემ სოფ. კოტუმბის მხრიდან შემოგვიტია, მაგრამ დიდათ დაზარალებული უკუ ვაგდეთ. ამავე დროს იგი მოშხამულ გაზით გატენილ ყუმბარებს უშენდა კოტუმშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფ აგასულის მიდამოებს . მდ. სულგადან მდ. ჩობანიაშას ველამდე მოპირდაპირეს იერიშები მოაქვს, აგრეთვე იერიშებით მოდის მდ. დოფტანისა და ოიტუზის ველებში. განსაკუთრებით დაჟინებული იერიშები ამ ორ უკანასკნელ ველებში მოაქვთ, საიდაც მოპირდაპირემ ჩვენს ჯარს ცოტა აღმოსავლეთით დაახევინა.

**კავკასიის ასპარეზი** ...

ვლის ქარბუქი საომარ მოქმედებას აფერხებს.

**რუმინეთის ასპარეზი.** მოპირდაპირემ მედგრად შემოუტია რუმინელების ბრძოლის ხაზს მდ. კასინის ჩრდილოეთით და სამხრეთით, მოლდავიის მიჯნების აღმოსავლეთით 8 ვერსზე: რუმინელთა ჯარმა თავისი ადგილები შეინარჩუნა. ღამე მდ. რიმნას სათავეში მოპირდაპირემ რუმინელებს უკან დაახევინა, რომლებიც ფოქშანის დასავლეთით 20 ვერსზე მდებარე პატრონუს მიდამოებში გადავიდა. ფოქშანის მიდამოებში და მის სამხრეთ აღმოსავლეთით მდ. დუნაემდე ჩვენმა ჯარმა მტრის შემოუტევლად ღამე ახალს პოზიციებზე გადავიდა. დილით მოპირდაპირემ მდ. ბუზეოს მარცხენა ნაპირას შემოგვიტია, ბუზეო ბრაილოვის რკინის გზის გასწვრივ. შემოტევა თოფებისა და ზარბაზნების სროლით შევაჩერეთ. დღისით რომანულის მიდამოებში, ბრაილოვის დასავლეთით 15 ვერსზე, მოპირდაპირემ შემოტევა სცადა, მაგრამ თოფების სროლით უკუ ვაგდეთ; მტერი უწესრიგოდ უკან გაბრუნდა და ჩვენი სანგრების წინ 800—100 ნაბიჯის მანძილზე თხრილებს იმზადებს.

**დობრუჯაში** მოპირდაპირემ დილიდანვე 23 ბატალიონი გაშალა ჩვენი ბრძოლის ხაზის შუაგულის წინააღმდეგ, შემოგვიტია და ჩვენს ჯარს უკან დაახევინა. ჩვენი ჯარი ახალს პოზიციებზე გადავიდა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ბერლინიდან იტყობინებიან, სომას სამხრეთით ფრანგები ერთბაშად დაეცნენ გერმანელების პატარა სადარაჯოს ვიშის სამხრეთით და ტყვეები წამოიყვანეს

**სტოკჰოლმი.** ბერნიდან იტყობინებიან: ბულგარეთის დესპანმა ოთხშაბათს შვეიცარიის მთავრობას გადასცა ბულგარეთის მთავრობის საპასუხო ნოტა.

**ლონდონი.** საღამოს ცნობა. დღეს, ლე-ტრანსუას სამხრეთით გერმანელების სანგრებზე იერიშით მივედით. სროლით დავანგრიეთ ვეკელის ნავთსადგურის შიგნითა ნაწილი, ლიტელუას აღმოსავლეთით და ნევ...ის ჩრდილოეთით

**სტოკჰო[ლმი].** ...შვეიცარიის მთავრობამ 1917 წ. 10 მკა[ისამდე] გააგრძელა უბაჟოდ ხორბლეულის შ[ემოტ]ანის დებულება.

**ჰააგა.** პირველმა პალატამ 135 მილიონი გულდენი გადასდო სიმხედრო საჭიროებისათვის.

**პარიზი.** პალატამ სავაჭრო ფლოტისათვის გადასდო 200 მილიონი ფრანკი ფრანგ მენავეთათვის. აქედან 120 მილიონი ახალ გემების აგებას მოხმარდება, 80 მილონი კი საფრანგეთსა და მის ახალშენებს შუა საქონლის მზიდველთა აგებას.

## რუსეთის ფინანსები.

ფინანსთა [მინისტ]რმა ხელახლავ შეიტანა წინადადებ[ა] კანონმდებლო პალატებში, რომ სახელმწიფო ბანკის ემისიონური უფლება გაფართოვდეს, ე. ი. ბანკს მიეცეს ნება ახალი ქაღალდის ფული გამოუშვას ოქროთი ანაზღაურების გარეშე. ამგვარი უფლებით სახელმწიფო ბანკს დღემდი 5 $1/2$ მილიარდი მანეთის ქაღალდის ფული აქვს გამოშვებული. ამ ფულში 2 მილიარდის ნებართვა ბანკმა მიიღო ძირითად კანონთა 87 მუხლის ძალით წარსულ აგვისტოში. ახლა ბანკი კიდევ თხოულობს სამი მილიარდის ქაღალდის ფულის გამოშვების ნებართვას, ე. ი. სულ გამოშვებული იქნება 8 $1/2$ მილიარდი ქაღალდის ფული.

საყურადღებო ის არის, რომ ქაღალდის ფული მაშინ ღირს იმ ფასადა, რა ფასიც მას ზედ აწერია, თუ იგი ოქროთია ანაზღაურებული.

რამდენიც მეტი გამოდის ქაღალდის ფული და ოქროთი კი ანაზღაურებული არ არის, იმდენად ეცემა მისი ღირებულება და საზღვარ გარეთ ჩალის ფასად იყიდება

ომის გამო ქაღალდის ფულის გამოშვებამ რუსეთში ძრიელ იმატა. თუ რა პროპორციით მატულობდა იგი ოქროს ფულთან შედარებით გაზეთ „რუს. სლ.“ მოყვანილია შემდეგი ცხრილი:

| გამოშვებილი იყო ქაღალდის ფული | | სახელ. ბანკში *) იყო ოქროს |
|---|---|---|
| 16 ივ. 1914 წ. | 1633 მილ. მ. | 1603 მილ. მ. |
| 1 იან. 1915 წ. | 2,946 „ „ | 1,559 „ „ |
| 1 იან. 1916 წ. | 5,616 „ „ | 1,615 „ „ |
| 1 დეკ. 1916 წ. | 8,383 „ „ | 1,473 „ „ |

ამ გზით თუ ვიარეთ, 1 აგვისტოს 1916 წლისა, ე. ი. ომის დაწყებიდან სამი წლის თავზე, ჩვენი ქაღალდის ფულის ჯამი თორმეტ მილიარდამდი მიაწევს.

დიდად ჩასაფიქრებელი მდგომარეობაა, მაგრამ ამგვარივე მდგომარეობაა სხვა მეომარ სახელმწიფოებშიაც ინგლისის გარდა, რომელსაც გამოცემული ქაღალდის ფულის ასანაზღაურებლად საკმაო ოქრო აქვს

მიზეზი ამოდენა ქაღალდის ფულის გამოცემისა, რასაკვირველია, ომია. მიზანი, როგორც ხედავთ, მაღალი და შესაწყნარებელია, მაგრამ მაინც ყველაფერს თავის ზომა აქვს. ქაღალდის ფულის გამოცემასაც საზღვარი აქვს, რომლის გადალახვა დაუსჯელად არ რჩება თვით სახელმწიფო მეურნეობისთვის ამისთვის ქაღალდის ფულის გამოცემა. დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქაღალდის ფულის სიმრავლე ისე დასწევს მას ფასში, რომ თვით გამოცემას მნიშვნელობა დაეკარგება, მიზანს ვერ მიაღწევს და ფული ფულობას ვეღარ შეასრულებს. დაცემული ქაღალდის ფულით ღირებულ საქონელს, თუ სურსათ-სანოვაგეს, ვერ მიიღებს. ოქროს გარეშე, სახელმწიფო ბაზარს რამდენი ქაღალდის ფული მოემატება, იმდენად საქონელი გაძვირდება. ამის გამო სახელმწიფო მეურნეობა შეიძლება აირიოს და ძნელი მოსაწყობელი გახდეს. ერთი ძლიერი საშუალებათაგანი ქაღალდის ფულის ბაზარზე დამცირებისა, შინაური სესხია.

რამდენად მეტი ქაღალდის ფული გამოვა ხმარებაში, იმდენად ყველა საქონელი ფასს აიწევს—გაძვირდება.

საქონლის სიძვირე თავის მხრივ შრომას ფასს მოუმატებს და შრომის ფასის მომატება სანოვაგეს მამასისხლად გახდის თუ ამ ფასთა ტრიალმა იმატა, პირველში ხაზინა ისარგებლებს და შემდეგ საზოგადოების მეურნეობა. ამ არევ დარევის დროს მარტო ჩარჩები ითბობენ ხელს და მარტო ისინი ისქელებენ ჯიბეს

ალვირ ახსნილი ჩარჩები სრულებით ძირს გამოუთხრიან სახელმწიფო მეურნეობას და მას უფსკრულის პირამდე მიიყვანს. ამის გამო ჩვენ ჩვენის მხრით სიამოვნებით ვეგებებით ნამუშავარზე მტკიცე ფასების შემოღებას, ნამეტნავად პირველ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საქონელზე, იგი ალვირს ამოსდებს სპეკულატიურ მიდრეკილებას

ამის გარდა უნდა გვწამდეს რომ სახელმწიფო სათათბირო ბანკის ამგვარ ემისიებს რაც შეიძლება ფთხილად მოეკიდება და ერთბაშად მთელ სამ მილიარდზე ნებას არ დართავს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდძალი ქაღალდის ფულის გამოშვებით შეიძლება: 1) ბანკი განსაცდელში ჩავარდეს; 2) სესხის აღების საქმე კარგად არ წავიდეს და 3) თვით სახელმწიფო სათათბიროს საჭირო ზედა მხედველობა ვეღარ იქონიოს რუსეთის ფინანსებზე.

ვ. იგლიტელი.

*) სამინისტროს ცნობით ორი მილიარდის ოქრო ს[ა]ზღვ[არ] გარეთ ჩარჩა. იმიტომ სულ ჩვე-...

## ამას მაინც ვინ დაგვიშლის!

(ქართული ენის მასწავლებელთა საყურადღებოდ)

ქართული ენის არა ნორმალური მდგომარეობა საშუალო სასწავლებლებში თვალსაჩინოა იმ მოქალაქესათვის, ვინც ჩვენი ცხოვრების შავ ლაქებს ყურადღებას აქცევს.

კითხვა ქართული ენის სასურველ კალაპოტში ჩაყენების შესახებ, როგორც სხვა ბევრი რამ ჩვენში, ჯერჯერობით ისევ დარჩა კითხვად ჯერ ისევ შეზღუდული რიცხვი გაკვეთილებისა (ორი ან ერთი გაკვეთილი თვითეულ კლასში); ჯერ კიდევ მეექვსე გაკვეთილები, როცა სულიერად და ხორციელად, ხუთი საათის განმავლობაში, ნამუშევარ დაქანცული მოწაფეები სრულ უხალისობას იჩენს სამშობლო ენის შესწავლის საქმეში; ჯერ კიდევ კლასების სამარცხვინო სიჭრელე, სადაც ცოტა რამის მცოდნეებთან სხედან იმგვარებიც, რომლებმაც, არა თუ რიგიანი წერა-კითხვა, არა თუ რაიმე ცოდნა სამშობლო ლიტერატურისა და ისტორიისა, ქართული ანბანიც არ იციან რიგიანად, ჯერ კიდევ სამწუხარო გულგრილობაა ამ ენისადმი სასწავლებლის მთავრობის, ქართველი მშობლების და მოწაფეების მხრივ!

ქართველი საზოგადოების დიდი უმრავლესობა, ჩვენდა სამარცხვინოდ, გულგრილად მისჩერებია ქართული ენის შესწავლის საქმეს- ჯერ სანამ სასწავლებელში შეიყვანს თავის შვილს ქართველი მშობელი ყველა საგნებში ამზადებს მას გარდა ქართული ენისა და სასწავლებელში შეყვანის შემდეგ ხომ სრულიად არ ეკითხება თავის თავს: სწავლობს მისი შვილი სამშობლო ენას თუ არა? ზოგიერთ მშობელს ხომ ქართული ენა ზედმეტ ბარგად მიაჩნია ეს კი გადაგვარების ნიშანია მაგრამ მე ეს არ მაკვირვებს! გადაგვარებული ...

გრილად არ მოეპყრო ერის წმინდათა წმინდას.

მე უფრო ის მაკვირვებს, რომ ამ ენის სასურველი მდგომარეობაში ჩაყენების შესახებ არ ზრუნავს ჩვენი ... შეგნებული უმცირესობაც კი. იმედი კი უნდა ვიქონიოთ, რომ ... სხვათ შორის, ქართული ენის უფლების აღდგენასაც საშვალო სასწავლებები მოითხოვს თვით დრო, ეს საუკეთესო წარმომშობელი და დამარღვეველია ყოველგვარ უსამართლობისა და უკანონობის. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. სანამ ეს იქნებოდეს, ერთი რამე მაინც ჩვენ ხელთ არის.

დღეს, ასეა, თუ ისე, ქართულ ენას აქვს ადგილი საშუალო სასწავლებელში ყოველ გვარ დამცირებასთან, ქართული ენის მასწავლებელს პროგრამაც კი არა აქვს, დიაღ პროგრამა რითაც ის უნდა ხელმძღვანელობდეს სწავლების დროს. ქართული ენის გაკვეთილები საშუალო სასწავლებელში დღეს ოთხი-ხუთი კაცის ხელშია, თვითეულ მასწავლებელს თავის საკუთარი პროგრამა აქვს. ერთს მთლიან პროგრამას, მასალის რიგიანად დაყოფა დანაწილებას დღეს საშუალო სასწავლებელში არ აქვს ადგილი, ხშირად სიტყვიერების თეორიას იწყებენ მოწაფეები, როცა გრამატიკის არაფერი გაეგებათ, ახალ ლიტერატურას ებღაუჭებიან, როცა ძველზე წარმოდგენა არა აქვთ; ან ძველი ლიტერატურიდან ასწავლიან „ოქროს ხანის“ რომელიმე ნაწარმოებს როცა მოსამზადებელი ხანის ინჩი არ ესმისთ; ან ახალი ლიტერატურიდან ამოწიწკნიან მესამოცე წლების რომელიმე მწერლის, რომელიმე ნაწარმოებს, როცა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარის მწერლების სახელებიც არ იციან მოწაფეებმა.

ეს სამწუხარო არევ დარევა კი, ჩემის ფიქრით, ხდება რიგიანად შემუშავებული პროგრამის უქონლობის გამო. რიგიანი პროგრამით ხელში, დღევანდელ პირობებშიაც, ცოტა რამის გაკეთება შეეძლება ქართული ენის მასწავლებელს. თუ სხვა საგნების მასწავლებლებს აქვთ რიგიანი პროგრამები, რითაც ისინი სარგებლობენ მეცადინეობის დროს, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამგვარი პროგრამა ქართული ენის მასწავლებელს?

თუ ამ გვარი ძალით შემუშავებულ და აწონილ-დაწონილ, პროგრამის საჭიროებას გრძნობენ ქუთათური ქართული ენის მასწავლებლები, ამ შემთხვევაში მივმართავ მათ შემდეგი წინადადებით: ახლო მომავალში შევიკრიბოთ ერთად და საერთო ძალით შევიმუშაოთ რიგიანი პროგამა, გავხადოთ ჩვენი თავი მოვალედ, რომ ეს, საერთო ძალით შემუშავებული, პროგრამა გავიაროთ სინდისიერად. მაგრამ პროგრამის შემუშავება არ იკმარებს.

ქართული ენის მასწავლებელი მაშინ შესძლებს სინდისიერად გაიაროს პროგრამა და რაიმე ნაყოფი მოიტანოს, როცა მას ეყოლება ერთნაირად მომზადებული შეგირდები და არა დღევანდელი აჭრელებული კლასები. ამასათვის საჭიროა ქართული ენის მასწავლებლებმა მიმართონ მშობელთა წრეების წარმომადგენელთ- ამ უკანასკნელმა კი ქართველ მშობლებს და მოსთხოვონ მათ ქართულ ენაშიაც მოამზადონ ხოლმე თავიანთი შვილები.

მე მგონია მშობელთა წრეების წარმომადგენლებს ციმბირში არ გაგზავნიან, არც დააჯარიმებენ, თუ ამ კანონიერი წინადადებით მიმართვენ გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველ მშობლებს. მგონია რომ მშობელთა წრეებს, ქართული ენის თუ „გაშტატება“ არა, ამ უბრალო რამის გაკეთება მაინც შეუძლიათ სამშობლო ენის სასარგებლოთ.

თბილისში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ვითომ რაღაცა კეთდება ქართული ენის უფლების აღსადგენად. ყოველ შემთხვევაში ეს მომავლის საქმეა.

სანამ ეს სასურველი რამ განხორციელდებოდეს, იმას მაინც ვინ დაგვიშლის ქართული ენის მასწავლებლებს ერთად შევიკრიბოთ და ამ ენის სწავლების გაუმჯობესობის შესახებ მოვილაპარაკოთ.

თუ ქართული ენის მასწავლებლები მიიღებენ ამ ჩემ წინადადებას და გამომეხმაურებიან იმ შემთხვევაში დავნიშნავთ დროს და ადგილს, სადაც შევიკრიბებით ამ საჭირბოროტო საკიხზე მოსალაპარაკებლად.

გორგი.

## ქართველი გრიგორიანები

(დასასრული)

ყოველივე ის, რაც ამ წერილში ვსთქვით, ჯერ ერთი იმ ქართველ გრიგორიანთა გასაგონებლად ვსთქვით, რომელნიც ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლებულნი ეროვნულ შეგნებას, დღეს დღეობით სომხის სასულიერო პირთა ძლიერ ნაციონალისტურ აგიტაცია-პროპაგანდას საკუთარ თავზე განიცდიან. მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენ გვამოძრავებს ამ შემთხვევაში ერთი უაღრესი სურვილი — ჩამოვაშოროთ ქართველ სომეხთა გამწვავებულ ურთიერთობას ერთი ისეთი მხარე, რომელიც ამ გამწვავებას კიდევ მეტად გააღრმავებს, თუ საკითხი სწორედ და სამართლიანად გადაწყვეტილი არ იქმნა ჩვენი უდიდესი სურვილი და წრფელი რწმენაა ჩამოვაგდოთ ქართველ სომეხთა და საზოგადოდ კავკასიის ერთა შორის ის განწყობილება, რომელიც ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია თითოეული ერის პოლიტიკურ-კულტურულ წარმატებისა და საერთოდ ეროვნული ცხოვრების ნორმალური ზრდა-განვითარების პირობებში ჩაყენებისა. სხვა დროსაც გვითქვამს, თუ რა უშლის ხელს ასეთი განწყობილების ჩამოგდებას ქართველ სომეხთა შორის. სოლიდარობის გზაზე ბევრი ხელის შემშლელი პირობებია. არ ვიტყვით, რომ ეს პირობები ისეთი თვისებისა იყოს, რომ მათი შეთანხმება-მორიგება შეუძლებელი საქმე იყოს, რომ ამ გზაზე აღმართული დაბრკოლებანი გარდაუვალი ზღუდე იყოს. არა, ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ სწორედ გაგებული ინტერესები ორივე მხარეს ერთს დასკვნამდის მიიყვნს, ირივეს ერთს მიზანს ამსახურებს.

და თუ დღეს ქართველ გრიგორიანთა საკითხს ისე ვწყვეტთ, როგორც ამას საღი გონება და წრფელი სინიდისი გვიკარნახებს, თავის თავად ცხადია, რომ ამით არავის უფლებათა გარდალახვა, არავის წყენა-შეურაცხყოფა ჩვენ არა გვწადია. ვანა ასეთივე გონებითა და სინიდისით არ მივედით ქართველ მაჰმადიანთა საკითხთან? როგორ შეხვდნენ მერე შეგნებულნი თურქ ოსმალნი გამაჰმადიანებულს ჩვენს მოძმეთა საკითხს? სრულიად მშვიდობიანად და საქვეყნოდ გადაჭრით აღიარეს მათი ქართველობა. დარწმუნებულნი ვართ, რომ შეგნებულნი სომეხთაგანაც სხვაფერ არც გაიგებენ ჩვენს ნათქვამს და ქვენა, სხვის დამამცირებელს, ჩვენთვის უცხო ზრახვებს არც მოგვაწერენ. გვაგონდება დიდებული მეცნიერი სპენსერის ერთი მეტად უბრალო სიტყვები: „ვალდებულნი ვართ პატივი ვსცეთ სხვათა უფლებებს, მაგრამ ვალდებულნი ვართ აგრეთვე დავიცვათ საკუთარი უფლებანიც. რაც წმინდაა სხვისთვის, წმინდაა ჩვენთვისაც“. საჭიროა ორთავე მხარემ მტკიცედ შევასრულოთ ეს ვალდებულება და მაშინ ზღუდენი ბაბილონისანი თავისთავად დაიქცევიან.

დიახ, ჩვენი წმინდა ვალდებულებაა დავიცვათ ჩვენი ერის ზოგიერთი ნაწილი ეროვნულ გადაგვარებისაგან, ასიმილაციისაკენ მიმართულ უცხო ერთა ზედგავლენისაგან. ამ გზაზე კი ქართველი მოდგმის გრიგორიანთა ეროვნულ-კულტური გაერთიანება ქართველ ერთან ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკურ საქმიანობის ერთ ერთი მორიგი საკითხთაგანია.

ისეთი მუდმივი საზოგადოებრივი-კულტურული მუშაობა მათ შორის, რომელიც წინააღმდეგ მომართულ ძალების გავლენას დასაწყისშივე მოსპობს და იმავე დროს არსებულ კავშირს გააღრმავებს, მჭიდრო ურთიერთობას ჩამოაგდებს სარწმუნოებრივ გათიშულ ძმათა შორის. ამ მუშაობაში ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას უპირველესად ყოვლისა ენას. მართალია, ქართველმა გრიგორიანებმა დღესაც სხვა ენა არა იციან-რა, გარდა ქართულისა, მაგრამ ეს ენა მათთვის მხოლოდ სალაპარაკო, ოჯახში სახმარებელი ენაა და მეტი არაფერი. ღვთის მსახურება კი მათთვის უცნობ ენაზე სწარმოებს, სომხის სამღვდელო პირთა კურთხევითა და წყალობით. შედის ქართველი გრიგორიანი სალხსა ღვთისას, ისმენს მთელი საათობით წირვა-ლოცვასა და ამ წირვა-ლოცვის კი არა ესმის-რა. ასრულებს, ვითარცა კეთილმორწმუნე ქრისტიანი, ცხოვრების სხვადასხვა მომენტში ყველა ქრისტიანულ წესებს, მაგრამ ყველგან იგი, სომხური ენის უცოდინრობისა გამო, ავტომატის როლშია, რომელსაც არა გაეგება-რა, არა იცის-რა თავის სარწმუნოებისა. დამეთანხმებით, ასეთი ყოფა ტანჯვაა სულიერი, გარდა იმისა, რომ ეს თვით სარწმუნოებრივ გრძნობათა აბუჩად აგდებაა. ეს თუ გნებავთ, ერთნაირი, ყოვლივე აზრსა და შინაარს მოკლებული კომედია რელიგიოზურ ნიადაგზე, რომელშიაც მონაწილეობას, სამწუხაროდ, თვით ღვთის მსახურნი იღებენ საჭიროა, მაშასადამე, ქართულ ენას ქართველ გრიგორიანთა შორის მეტი ასპარეზი მიეცეს — რაო, ითავოს ვინმემ, აღძრას ვის წინაშეც ჯერ არს, სათანადო შუამდგომლობა ქართველ გრიგორიანთათვის ცალკე რელიგიოზური თემის დაწესების შესახებ და მაშინ ქართული ენა სარწმუნოებრივ სფეროშიც თავის-თავად შეიჭრება.

ქართველ გრიგორიანთა შორის ქართული ენის დამკვიდრებას ყოველ სფეროში მით მეტის უფლებით ვთხოულობთ, რომ თვით გრიგორიანთა ეკლესია წინად, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის და ერთხანს შემდეგაც დიდის პატივით ეპყრობოდა ქართველ გრიგორიანთა სამშობლო ენას და მათს ზნე-ჩვეულებას. კარგად მოგვესხენებათ, რომ საქართველოში ბევრს ალაგას, სადაც ასეთი ქართველნი მოსახლეობენ, სულ ამ უკანასკნელ დრომდე ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართული ჰქონდათ, სახარება ქართული იკითხებოდა, გალობა ქართულად სწარმოებდა, ქადაგება ქართულად ითქმოდა. ასე გასინჯეთ, წერა კითხვის საზოგადოების მუზეუმში დღესაც ინახება ერთი ქართული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს გრიგორიანთა წირვა-ლოცვის წესის თარგმანს, რაიც ცხადი საბუთია იმისა, თუ რა ენაზე სწარმოებდა ღვთის მსახურება ქართველ გრიგორიანთა შორის. ამასვე აქვე დავუმატებთ, რომ თვით ეპისკოპოსი ამ ქართველ გრიგორიანებს ქართველ მეფეთაგან ენიშნებოდა თითქმის მე-18 საუკ. გასვლამდე და მისი რეზიდენცია ძველი ქართული მონასტრები სინაინი და ახპატი იყო.

კულტურულ მუშაობის გასაწევად ქართველ გრიგორიანებში, ისე, როგორც ქართველ მაჰმადიანებში, აუცილებლად საჭიროა აგრეთვე ერთი სხვა უძლიერესი იარაღიც დავიხმაროთ — სკოლა და ყოველდღიური პრესა, რომელთაც ყოველი ღონე უნდა იღონონ, რათა რყევის გზაზე დამდგარნი მშობელ დედას დაუბრუნონ, ჩატეხილი ხიდი აღადგინონ, კულტურული თანამშრომლობა, ტკბილი, ძმური სიყვარული ჩამოაგდოს დაშორებულ მოძმეთა შორის და, ამ სახით, ის სულიერი სიმები კვლავ გააბამს მათ შორის, რომელნიც სხვა და სხვა უკუღმართობას ოდესმე ძალით გაუწყვეტია. დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით ისინი, ვისკენაკ ჩვენი თვალ-ყური იქნება მიქცეული, ასეთს მზრუნველობა თანაგრძნობას, თბილის გრძნობებით გამსჭვალულს, ასეთივე გრძნობებით შეხვდებიან. ჩინებული უახლოესი მაგალითი ხომ წინა გვაქვს — სამაჰმადიანო საქართველო! ქართველ გრიგორიანთა აწინდელ ცხოვრებას რომ დააკვირდეთ, თქვენ ერთ წუთსაც არ დაგებადებათ ეჭვი იმის შესახებ, რომ ისინი იმ ერთმორწმუნე სომეხთაგან, რომელნიც ოსმალეთის კულტურასა და იქაურ პოლიტიკურ რეჟიმს მომწყვდევიან. იმდენადვე განსხვავებულნი არიან ყოვლის მხრივ, რამდენადაც ორი სხვა და სხვა არა მონათესავე ერი, და იმავე დროს ბევრნაირად დაკავშირებულნი ქართველებთან. ასეთს პირობებში კი არც თუ ძნელია კულტურული მუშაობა, რომელიც, მალე ვნახავთ, დიდს ნაყოფს გამოიღებს, ოღონდაც ეს მუშაობა დროით გაჩნდეს.

გრ. გველესიანი.

## სახელმწიფო სათათბიროში

საერობო და საქალაქო კავშირები და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კრებების აღკრძალვის თაობაზედ გამართული კამათი დასრულდა შემდეგის ფორმულით, რომელიც ხუთი გაერთიანებული ფრაქციის სახელით შიდლოვსკი პირველმა წამოაყენა და რომელიც მიღებულ იქმნა 123 ხმით 47 წინაღმდეგ. ბლოკის ფორმულაში ნათქვამია:

„სახელმწიფო სათათბირო აღნიშნავს, რომ საქალაქო და საერობო კავშირების აკრძალვა ეწინააღმდეგება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას რომ ამ კავშირების მოღვაწეობა წარმოადგენს მაღალ პატრიოტულ საქმეს, რომ ეს მოღვაწეობა ჯარისთვის აუცილებელია, რომ შეუძლებელია იგი ნორმალურად გაღვივდეს თუ მთავრობის მხრივ გზაზედ დაბრკოლება გადაეღობება, რომ ამ სახით შექმნილნი დაბრკოლებანი შინაურ უკმაყოფილებას იწვევენ და არასასურველ მიმართულებას აძლევენ; სახელმწიფო სათათბირომ სახეში მიიღო, რომ ეს კავშირები, მხარს უჭერენ საკანონმდებლო პალატები სვან მრავალ გზის წარმოთქმულ აზრებს მიმდინარე მომენტის თაობაზე და რომ მთელ რუსეთს შორის, სახელმწიფო სათათბირო აღნიშნავს რა ყოველივე ამას, იგი სალამს უძღვნის კავშირთა მოღვაწეობას თავდაცვის საქმეში, გადაჭრით ჰკიცხავს ამ კავშირების ყრილობების აკრძალვას და მორიგ საკითხზე გადადმის.

## ახალი ამბავი.

რადგან დღეს რუსეთისა და უცხოეთის გაზეთები გვიან მივიღეთ, ომის ამბების აწყობა ვერ მოვესწრო.

როგორც პეტროგრადიდან იუწყებიან, ცნობილი გრიგოლ რასპუტინი მოუკლავთ და მისი გვამი მდინარე ნევაში გადაუგდიათ. მდინარეს რამოდენიმე დღის შემდეგ გამოურიყავს.

იანვარში ჯარში გაიწვევენ 1898 წ. დაბადებულ ახალგაზდებს. ის პირნი, რომლებიც დედის ერთა არიან ჩაირიცხებიან ლურჯ-ბილეთიანთა სიაში, შეღავათი მიეცემა იმ პირებს, რომლებიც მსახურობენ სახელმწიფო დაცვის დაწესებულებებში. ჯარში გაწვევისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე პირველ დაწყებითი და საშუალო სასწავლებლის მოწაფეები თანახმად სამხედრო ბევრის კანონის 76 მუხლისა, იმ შემთხვევაში თუ მათ ამის შესახებ შესაფერი შუამდგომლობა აქვთ აღძრული აქვთ სადაც ჯერ არს 1 დეკემბრამდი.

ქალაქის თვითმართველობამ გუშინ მიიღო 15 ვაგონი შაქარი, ამ ორ დღეში მიიღებს კიდევ დანარჩენ 6 ვაგონს, განაწილებას შეუდგებიან ხვალიდან, როგორც გადმოგვცეს შაქარი „რაფინადის“ ქარხნის ყოფილა.

6 იანვარს ქუთაისის საზოგადო საკრებულოს დარბაზში საზ. „სინათლეს“ ნივთიერ მდგომარეობის გასაძლიერებლად გაიმართება ფრიად შინაარსიანი საღამო.

ფოთის ქ. საბჭომ დაადგინა, რომ მეფის მოადგილეს ეთხოვოს აღძრას შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა პატიოს ნ. ნი[illegible]ლაძეს სენატის მიერ მისჯილი სასჯელი.

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ადგ. განყოფილების კომისიამ უკვე წარუდგა ქუთაისის გუბერნატორს და სთხოვა, ამიერიდან მის სახელზე მოსული სურსათ-სანოვაგე გადასცეს მხოლოდ ხსენებულ საზოგადოებას, სოფლის კოოპერატივთათვის გასანაწილებლად. გუბერნატორმა აღუთქვა მათ თხოვნის დაკმაყოფილება, ამ დღეებში საზ. აქ გახსნის კანტორას და შეუდგება საქმეების წარმოებას.

ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო აღწერის მასალები უკვე გაიგზავნა ქ. პეტროგრადში.

დასავლეთ საქ[illegible]ლოს მთავრობის აგრონომი ა. მ. ვასილევსკი სხვადასხვა სეჭირო საქმეების გამო, გუშინ დილის მატარებლით ქ. ბათუმს გაემგზავრა.

საერობო აგრონომიულ ორგანიზაციის თათბირის დადგენილების თანახმად რაჭალეჩხუმის მაზრაში 1917 წლიდან დაარსდება მეშვიდე საერობო აგრონომიული პუნქტი.

ეკატერინოსლავის საცდელი მინდორის გამგეს წერილობითი წინადადება მისცა ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომმა, რათა 1917 წლისათვის, ქუთაისის გუბერნიის საერობო-აგრონომიულ პუნქტებისათვის დაამზადოს საუკეთესო ჯიშის სათესლე სიმინდი.

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სოფელ გორას (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებთ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება სახელწოდებით „შეღავათი“

1917 წლის 1 იანვრიდან აქ არსდება „საადრესო სტოლი“ ამის შესახებ ადგ. პოლიცმეისტერმა შესაფერი განცხადებები უკვე გააკრა ქუჩებში, რითაც მოუწოდებს როგორც სახლის პატრონებს, ისე სხვა და სხვა გვარ სასტუმროების მოიჯარადრეთ რათა აუცილებლად შეიძინონ 1 იანვრისათვის საადრესო წიგნი და წარუდგინონ მას მდგმურების სია.

სოფელ ოფშქვითში 1 დეკემბრიდან განაახლა მომხ. საზ. „გლეხის“ გამგეობამ ვაჭრობის წარმოება.

ომში დაჭრილ დაავადმყოფებული ოფიცრები ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი ოფიცრები: პრაპ. ს. ნ. კოპალეიშვილი, ვას. ს. ოდიშელიძე და გიორგი შანშიაშვილი.

დღეს საღამოს 7 საათზე სათავადაზნაურო ბანკის შენობაში შესდგება ლიტერატორთა საზოგადოების მეორე კრე-

ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგის გამოკვლევით უვარგისი ღვინო აღმოაჩნდა შემდეგ მეღვინეებს: ვლ. ბასილაძეს, ვასილ ჭანტურიძეს, ბ. ბურჯანაძეს, ა. მანაგაძეს. მისივე გამოკვლევით წყალ-ნარევი რძე აღმოაჩნდათ: ბ. ჩირაძეს, გიორგი თევდორაძეს ივ. ბალანჩივაძეს, ს. შავგულიძეს.

ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისში ერთობ ცუდი ამინდი დაიჭირა, თითქმის ყოველ დღე გამუდმებით წვიმს

ამ ჟამათ სოფლებიდან შემოტანილი შეშა ფასობს ურემი 7 მან დან 15 მ-დე, ხოლო სიმინდის ჩალა ასი კონა 15 მანეთი.

გუშინ ახლო-მახლო სოფლებიდან შემოტანილი სანოვაგე შემდეგ ფასებში იყიდებოდა: ყველი ჩარექი 1 მ. და 60 კაპ. სიმინდის ფქვილი 3 მ. და 50 კ.-დან 4 მ.-დე. სიმინდი 3 მ. 50 კ. ლომი 6 მ.-დან 7 მ-დე, ქათამი 1 მ. დან 2 მ.-დე, ინდაური 6 მ. დან 7მ. დე, ბატკანი 11 მ.-დან 16 მ.-დე, ბროწეული ფუთი 2 მ. 50 კაპ., კვერცხი ასი 5 მან.

ქ. ფოთში ქუთ. მომხ. საზ. „რეგულიატორის“ გამგეობამ შეიძინა 40 ვაგონი მარილი მომხ. საზოგადოებათათვის დასარიგებლათ. ამისათვის მას ქუთ. გუბერნატორმა ვაგონებიც მისცა და გუშინ გამგეობის თავმჯდომარე იასონ გაბილაია გაემგზავრა ფოთში მარილის დასაგზავნათ მოთხოვნილებისამებრ კოოპერატივებისათვის.

ინჟინრის ქუჩაზე ისეთი ტალახი სდგას, რომ გავლა შეუძლებელი ხდება, განსაკუთრებით, ღამე როცა არც ერთ ადგილას ამ ქუჩაზე ფანრებს არ ანთებენ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

### გუბერ. კანცელარიის ცნობები.

— სოფელ ობუჯში (ზუგდიდის მაზრა) 10 დეკემბერს დავით კონჯარიამ მოჰკლა ამავე სოფელში მცხოვრები გლეხი ონისიმე გიტოლენდია და მიიალა.

— სოფელ ნაფაჩხოუში (ზუგდიდის მაზრა) 7 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე პეტრე და პახვალა დარასელიები წაეჩხუბენ ივანე დარასელიას და თავში მძიმეთ დასჭრეს. დარასელიები დააპატიმრეს.

— სოფელ შუბანში (ოზურგეთის მაზრა) ბოროტ-გამზრახველები თავს დაესხენ მიხეილ კვაჰანტირაძეს და იქვე მოჰკლეს, როგორც გადმოგვცემენ ის ცნობილი ყოფილა, როგორც არა საიმედო პიროვნება და აგრეთვე ხელს უწყობდა თურმე ყაჩაღებს

## ქრონიკა.

— ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოების გამგეობამ თავისის განსვენებულის საპატიო წევრის, ისტორიკოსის და არქეოლოგის თევდორე დავითის ძე ჟორდანიას ხსოვნის აღსანიშნავად დაადგინა: 1, იკისროს განსვენებულის ხელთნაწერების წინასწარი აღნუსხვა და გარჩევა, რათა შემდეგ ეს ხელთნაწერები გადაეცეს სპეციალურ საზოგადოებას 2, გამართოს 22 აპრილს, მიცვალების ნახევარ წლის თავზე, სახალხო სახლში უფასო საღამო. 3, განსვენებულის სურათი ჩამოკიდოს საზოგადოების დარბაზში, 4, დაარსოს განსვენებულის სახელის უკვდავ საყოფად ცალკე ფონდი და სთხოვოს ყველა განსვენებულის პატივისმცემელს თავისი წვლილი გაიღოს ამ ფონდის გასაძრიელებლად.

**ზაქათალა.** საზოგადოება სთხოვს მეფის ნაცვალს, რომ აქ სამეურნეო სასწავლებლის გახსნას ნება დართოს.

**თელავი.** აქაური შემ.-გამ. ამხანაგობა უკვე შეუდგა იაპონურ გოგირდის დასამზადებლად საჭირო შენობის აგებას რკინისგზის შენობის მახლობლად ვ. რონიშვილის ადგილში. შენობა მინდობილი აქვს ინჟინერ ლომიძეს.

**ავჭალა.** თითქმის ორი თვეა, რაც აქ გაიხსნა მომხმარებელი კოოპერატიული დუქანი. ეს დუქანი ვერ ამართლებს თურმე თავის დანაშაულებას

**ფოთი.** ფოთელები ძრიელ დაალონა ნ. ნიკოლაძის საქმის გამო სენატის განჩინებამ. ყველას იმედი ქონდა, რომ ნ. ნიკოლაძე უეჭველად გამართლდებოდა. ქალაქისთვის ნ. ნ. უსათუოდ დიდად საჭირო და სასარგებლო კაცია. იმასავით დაწვრილებით არავინ იცნობს ფოთის პორტის საქმეებს და მარტო იმას შეუძლია იზრუნოს და რამე გააკეთოს ამ პორტის გაფართოებისათვის. ახლა კი არ იციან, რა მოუვა ამ პორტს.

აქ ჩამოვიდენ. სპარსელი ვაჭრები, რომელიც ყველაფერს ყიდულობენ: მარილს, რკინეულობას, პურის ფქვილს, ფეხსაცმელს, ტანისამოსს და სხვა. ადგილობრივი ვაჭრები განცვიფრებულნი არიან მათი ქცევით.

**სოხუმი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, გახსნას საშუალო სატეხნიკო საკომერციო სასწავლებელი. სასწავლებლის გახსნისათვის საჭირო ნებართვის გამოტანა დაევალა ქალაქის გამგეობას.

**ბათუმი** 20 დეკემბერს აქ გაიმართა წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით, წარმოდგენილი იქმნა „ციმბირელი“, ხოლო სალიტერატურო განყოფილებისათვის თფილისიდან ჩამოვიდა ი. გრიშაშვილი.

**ჭიათურა.** ცნობილ გ. ცერცვაძის წყალობით ჩვენ ხალხს შავქვიანი ადგილები თანდათან ეცლება ხელიდან, მყიდველები გამოდიან უცხოელნი, ცერცვაძე შუამავლობას ეწევა. რგანსა, მღვიმევსა, პერევისაში, შუქრუთსა, დარკვეთსა და აგრეთვე ითხვისშიაც დიდძალი შავქვიანი მამულები გაყიდეს გლეხებმა.

## საერთო შიმშილობა.

### და მოწაფეთა აუტანელი პიროებები.

ყველამ კარგათ იცით ბატონებო, თუ რა კრიზისს განიცდის ამ ხანათ სიძვირის მხრით, როგორც ქალაქი ისე სოფელი. ეს გარემოება მეტისმეტი შემავიწროებელი და შემაწუხებელია ღარიბ ხალხისათვის, რისგამოც ეს უკანასკნელი ნამეტურ ქალაქში, მრავალჯერ მშიერ მწყურვალია. ასეთ კრიზისულ დროს ზედმეტი არ იქნება, რომ დახარჯოთ თქვენი უკანასკნელი ღონე და ცოტათი მაინც შესცვალოთ და შეამსუბუქოთ ამ დამშეულმწყურვალეთა მდგომარეობა. და აკი ყოველი პატიოსანი მშრომელი ადამიანის პირდაპირი და ზნეობრივი მოვალეობა არ არის, რომ ასეთ დროს თავის გაკვირვებულ თანამოძმეთ რიიმე შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს. კი მართალია, ბევრი დაწერილა და იწერება თანამედროვე აუტანელ სიძვირის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ დაწერილა და საქმით კი ცხოვრებაში, ხალხისათვის სასარგებლოთ, ბევრი არაფერი გაკეთებულა დღემდის. ამისათვის საჭიროა უფრო მჭიდროთ შეკავშირება, რადგანაც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის გაუმჯობესობა ამას მოითხოვს. საჭირო არის მეტის მეტი მტკიცე ყურადღება მიექცეს ყოველივე ჩვენ მოთხოვნილებას, თორემ მალე სულ მალე ხალხი სრულიად დაეცემა დაღარიბდება სული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ კარგათ იცით, რომ ჭრილობის დროს ადამიანი საშინელს ტკივილებს განიცდის, ხოლო მის გასაკურნებლათ საჭიროა მალამო; ასეთსავე თავისებურს განმკურნებელ მალამოს მოითხოვს თანამედროვე დაავადმყოფებული დროც.

ჩვენა ვსთქვით, რომ მეტისმეტ აუტანელ პირობებში იმყოფება ჩვენი ქვეყნის ღარიბი ხალხითქო, მართალია, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეხლახან შექმნილი ატმოსფერა სიძვირისა მთელი მისი შავი მხარეებით, უფრო ღარიბ სოფლელ მოსწავლეთა მამებს და კერძოთ თვით მოსწავლე ახალგაზდობას აწევს თავზედ. აი ეს ჯგუფი დღეს ყველაზედ უფრო გრძნობს სიძვირის მწვავე შედეგებს—დამშევა. აბა მითხარით რა უნდა გააკეთოს და ისწავლოს მშიერმა მოწაფემ დღეს სკოლაში? ან კი რა დროს გაკვეთილებზე ფიქრია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბავშვს კუჭი ცარიელი აქვს. საჭიროა ბატონებო, ყოველივე ამას შესაფერი ყურადღება მიაქციოთ და გააკეთოთ ის რაც დღემდის უნდა გაკეთებულიყო. აუცილებელია გაკეთდეს ღარიბ მოწაფეთა სასადილოები. დაეხმარეთ მოწაფე ახალგაზრდობას და შეაძლებიეთ მათ სწავლა, რადგან უმათოთ ჩვენი ქვეყანა ჯაგით აღსავსე მინდორს დაემსგავსება. დაფიქრდით ბატონებო, დაფიქრდით და საქმეს დროზედ შეუდექით. თანამედროვე ხანაში ეს საკითხი საჭირბოროტო საკითხათ აქცია. ყველა ჩვენ თანამემამულეთა წმინდა მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ საკითხის განხორციელებას, თუ ოდნავ მაინც გული შესტკივათ მოსწავლე ახალგაზდობათა არსებულ უმწეო მდგომარეობაზედ.

იც. კანდელაკი.

## პროვინციის ცხოვრება.

**რაჭა.** საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეულმა ეკონომიურმა კრიზისმა შესანიშნავი დაღი დაასვა აქაურ მეურნეობას და კიდევ ვინ იცის, თუ რას უქადის იგი მას მომავალში. სოფლებში აქ მოხუცებულებსა და ბავშვებს გარდა ვერავის დაინახავთ, რომელნიც მძიმე სამეურნეოსაქმეებს ვერ ასდიან. მთელ რაჭაში მოსავალი ძრიელ ცუდი იყო. წლის საჩხო ჭირნახული არავის მოსვლია. ქვემო რაჭის მთელი სოფლები წელს, მოუსავლობის გამო, შიმშილს განიცდის, რადგან ყოველი მგრით რკინის გზა დაშორებულია, ამიტომ ყოველგვარი სურსათ სანოვაგის მოზიდვა ძვირად ჯდება. ახლა ხომ საქონლის მოზიდვა ძრიელ ძვირად ჯდება. მეურმეები ფუთის მოტანაში ერთ მანეთს ღებულობენ.

— **ს. სუფსა.** აქ მოხდა სუფსის საზოგადოების ერილობა ბ. ბოქაულის თანდასწრებით. ბოქაულმა საზოგადოებას წაუკითხა გუბერნატორის განკარგულება გამოპარულ ჯარის კაცთა შესახებ. შემდეგ დაისვა საკითხი ქურდ ბაცაცების ალაგმის შესახებ. აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა ყოველი ღონე იხმაროს მის ასალაგმავათ.

— **დ. ხობი.** აქაური ხალხი კულტურულ-ეკონომიურ მუშაობაში ჩაება, კოოპერატივის გარშემო ის დიდ ენერგიას და სიყვარულს იჩენს, მაგრამ უსიუბედუროდ საზოგადოებრივ მუშაობას ხშირად მესაფლავენი უჩნდებიან ხოლმე. 20 ნოემბერს „ძმობის“ წევრთა საგანგებო კრება იყო. კრებას უნდა განეხილა და დაემტკიცებია ანგარიში დღიდან დაარსებისა. საზოგადოებამ ანგარიში არ მიიღო, ვინაიდან მასში ბევრი ნაკლი აღმოჩნდა და გამგეობას ახალი რევიზია დაუნიშნა.

— **სამტრედია.** ოლქის მზრუნველის ნებართვით სამტრედიის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელთან გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები კურსებზე მიიღებენ იმ პირთ, ვისაც დაუმთავრებია სწავლა უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლაში, ან აქვთ მოწმობა ოთხი კლასის საშვალო სასწავლებლიდან კურსები მოკლე ვადიანია, ორ—სამ თვიანია. სწავლის ფული სამი თუმანია. კურსებზე მიიღებენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურს დამთავრებულთ ეძლევათ ადგილები ჯამაგირით 720—900 მანეთამდე. თხოვნებს ღებულობს სამტრედიის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი.

— **ხონი.** უმუშობა ძრიელ აწუხებს მცხოვრებლებს და თუ შემდეგაც ეგრე გაგრძელდა, მცხოვრებლები უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდებიან. ამ მოკლე ხანში ხონის მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“ მიიღებს ფხვნილ შაქარს. თუ ფუთი 30 კაპ. იყიდება, მხოლოდ შოვნა ძნელია.

— **ს. ხევი.** აქაურმა ვაჭრებმა ცეცხლი მოუკიდეს ყველაფერს. სკოლის მოწაფეებს კალამში ერთ აბაზს ართმევენ. ერთ მერვედ გირვანქა თუთუნში ექვსი შაური მიაქვთ. გოლოვი ასანთი აბაზად გახადეს. გირვანქა ხავთიც აბაზია, მიტკალი არშინი 60 კაპ. იყიდება. ყველაზე დიდი გასაჭირი ჩვენში უშოვრობა. ახლა მხოლოდ შუშა არა გვაქვს. 70

ჯერსას მანძილზე შუშის ხაზიდი. უშუშოთ არსებობა ნამეტურ ზამთარში, ყოვლად შეუძლებელია. არ ვიცით, ვის შევჩივლოთ ჩვენი ჯარდი.

## რუსეთი.

განსაცვიფრებელი ცნობა მოვიდა პეტროგრადიდან: შტიურმერი მადრიდში მიემგზავრება საცხოვრებლადაო.

— მთავრობა აპირებს ნაშობევს მოიწვიოს პოლონური პარტიის კოლოს ყველა წევრები და განუმარტოს რუსეთის პროექტი პოლონეთის მართვა გამგეობისა მომავალში.

— პეტროგრადის რუსთა-საკრებულოს სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვის გამო პურიშკევიჩის გვარი თავის წევრთა რიცხვიდან ამოუშლია.

— პირველი მინისტრი ტრეპოვი უნახულიათ ჩელნოკოვს და ლვოვს; ამბობენ საზოგადოებათა ყრილობებს ნებას დართავენო.

— პეტროგრადში მდ. ნევაზე უპოვიათ ცნობილი გრიგორი რასპუტნის გვამი გამოძიება სწარმოებს. პ. P.

## უ ც ხ ო ე თ ი.

ინგლისში ქვანახშირის სიმცირის გამო 8300 მატარებლის მიმოსვლა ერთიანად შეწყვეტილა.

— ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ ვილსონს ნება დაურთავს მებრძოლ სახელმწიფოებში სურსათ სანოვაგის გადაზიდვისა.

— მოკლე ხანში გაიხსნება განთავისუფლებულ პოლონეთის სახელმწიფო საბჭო. გერმანეთის ზონიდან არჩეულია 20 კაცი ხოლო ავსტრიისა—11 კაცი. ამ საბჭოში ერთი გერმანელი და ავსტრიელი არ—შედის.

— 20 დეკემბერს უნდა მომხდარიყო ამ საბჭოს პირველი კრება, რომელმაც პოლონეთის გვირგვინოსანი მარშალი უნდა ამოერჩია.

— რუსულ გაზეთების სიტყვით მარშლათ თ-დ ლიობომირსკის არჩევას აპირებენ.

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გადაუწყვეტიათ ყველა დაპატიმრებულთა განთავისუფლება და ბრძოლის ველზე გაგზავნა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ქალთა კერძო პროგიმნაზიის გამგე, მინად. დ. დუნდუას ასული უღრმეს მადლობას სწირავს ქართულ გიმნაზიის გამგეს, იოსებ ივანეს ძეს ბ. ოცხელს შენობისა და მუსიკის უფასოთ დათმობისათვის. უღრმესი მადლობა აგრეთვე ბ. იასონ რაინიშვილს, ქ. მგელაძის ასულს და ყველა იმ პირთ, რომელთაც ბატივი სცეს სასწავლებელს და დახმარება გაუწიეს სადამოს გამართვაში.

პროგიმნ. გამგე მ. დ. დუნდუა.

## ა ნ გ ა რ ი შ ი.

სათავად-აზნაურო კომიტეტთან არსებული ქალთა წრის მიერ გახსნილ სახაიის „ძმური დახმარების“ შემოსავალ-გასავლისა.

20 მარტიდან – 1-ლ მაისამდინ.

შემოსავალი: საგუბერნიო კომიტეტისაგან ნასესხები—1200 მან.

სხვადასხვა შემოწირულება—233 მ. 10 კ.

დღიური შემოსავალი სულ—1975 52 კ.

სულ 4408 მ.—62 კ.

დაიხარჯა: კაფეს მოწყობა და აველეულობა—660 მ. 03 კ.

ბინის ქირა და გადაკეთება ბინის 737 მ 33 კაპ.

სანოვაგის და სურსათის ყიდვაში 956 მ. 75 კ.

ელექტრონი, შეშა და წყალი—87 მ. 53 კ.

მუსიკას 23 დამის 276 მ.

სხვადასხვა წვრილმანი ხარჯი და ჯამაგირი მსახურთ 211 მ.

სულ 3328 მ.—64 კ.

1 ლ მაისისთვის იყო კასაში ნაღდი ფული 1079 მან. 98 კაპ.

გარდა ამისა სახაიეს აქვს მოწყობილება ღირებულება 960 მანეთისა და ბინის ქირა წინდაწინ მიცემული ორი თვისა 168 მან. 67 კაპ.

1-ს მაისის სახაიეს აქტივი ანუ ქონება გამოხატება სულ 2208 მან. 67 კაპ.

ხოლო პასსივი ანუ ფული 1200 მან.— წმინდა შემოსავალი ორმოცი დღის არსებობისა შეადგენს.

სულ: 1008 მან. 67 კ.

16 მაისიდან—16 ოქტომბრამდი.

შემოსავალი: სხვადასხვა შემოწირულება 186 მან.

დღიური შემოსავალი 2414 მ. 92 კ.

მთავრომეიდისგან ბინის ქირა 50 მან.

სახხერეში გამართული სადამოდან 468 მ 10 კაპ

სულ 3219 მ. 02 კ.

1 მაისს დარჩენილი 1079 კ. 98 კ.

სულ. 4299 მან. — კ

დაიხარჯა: კაფეს მოწყობა. 23 მან 10 კ.

ბინის ქირა 337 მან. 30 კ.

სანოვაგე და სურსათი 1096 მან. 20 კ.

განათება, შეშა და წყალი 156 მან. 74 კ.

მუსიკას 107 მან.

ჯამაგირი და სხვადასხვა ხარჯი 620 მ. 27 კ.

ზაპასის ცოლს დახმარება 15 მ.

დეპუტატის საკრებულო დახმარებისათვის 300 მან.

აჭარლების დახმარებისათვის 300 მ.

დამშეულებისათვის 600 მან.

სახხერეში სადამოს მოსაწყობათ 264 მ. 44 კ.

სულ: 3820 მ. 44 კ

გარდა ამისა შემოვიდა კიდე 508 მ. 56 კ სრული შემოსავლი ბალანსი.

სულ: 4329 მან.

სათავად-აზნაურო ქალთა წრის თავმჯდომარე ნიცა წერეთლისა.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

**ექიმი** ი. ჩარაძოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში მესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. სადამოს 6—8 ს.
ჰინაბარი. ლვავაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.
ტელეფონი № 135.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე გოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ და საღ. 6—8 საათ
ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს.

**ექიმი** [illegible] მაჩავარიანი (ყოფილი [illegible] ეროსი ექიმი სმეცის გულ-სუსტებიანთა [illegible]ტორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს დილის 8—10 და სადამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირიძეული)

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავადმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, სადამოს 6—8 საათამდე
პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3
ტელეფონი № 101.

**ექიმი** მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევ 2—3 საათამდი, სადამოს 6—[illegible]ამდი, კვირას გარდა.
თფილისის ქ. [illegible] 70 სახლი ქაიხოსრო ჯაჯანიძისა.

**ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული**
**ბებია** ს. ს. ნიმსაძისა უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, გეგეჭკორის სახლები, ფოსტის მახლობლათ

**ბებია** მ. მ. ქიქაბერიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული**, მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გადმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ კაშიას**, რომელმაც მე მომარჩინა ბავში უოპერაციოთ.
**ვარლამ ხუჯაძე.**

**საჭიროა ბინა** 4—6 ოთახით და სამზარეულოთი დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრანომისთვის. იკითხეთ: აბორინის შესახვევი მთავრობის და ერობის აგრანომის კანცელარია.

**მასაჟისა და სახის სამკ კაბინეტი**
**მარიამ ტ. გალანჩიკაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეწყებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ხემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სარბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და სადამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

**დოქტორი მედიცინისა**
**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**
ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.
გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ს.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი**
ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ-აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ჩვ.მ.“ და „სამშ.“ რედაქცია; ან პროვინზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

**იყიდება სახლი და მამული**
2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თფილისში მიხეილის ქ. № 113
ექიმ გოკიელოვს.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს**
მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე; გაზ. „სამშობლო“ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.
ტელეფონი № 183.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ, ვინაიდან ბევრ მათგანს ამ წლის გაზეთის ფასი სრულათ არ აქვთ შემოტანილი, თითოეულს მათგანს ეგზავნება კერძო ბარათი ზედ აღნიშნით, თუ ვის რამდენი მართებს. ამის შემდეგ, ვინც მიმდინარე წლის გაზეთის ანგარიშს არ გაასწორებს, შემდეგისთვის აღარ დაიკვეთს და ფულს არ წარმოადგენს, იმათ გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზ „სამშობლოს“ კანტორა.

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. III წ.
სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ
**ცხოვრებაზე**
რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით, ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე). ჟურნალი ღირება წლიურათ 6 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ.
ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Романозу Спиридоновичу Панцхава.

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი
**ქართული კედლის კალენდარი**
კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში
ფასი 4 აბაზი.

**ავათმყოფნი სუსუნატით**
დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.
ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთეპისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.
**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ
**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**
ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ერთგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**
ტროვსკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)